ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ხუთშაბათი, 22 მარტი № 1417

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе". ტელეფონი № 372.

## სამეურნეო ბანკის გამგეობა

სთხოვს ამ ბანკის წევრთ მობრძანდნენ საზოგადო წლიურ კრებაზე, რომელიც მოხდება ბანკისავე დარბაზში ოცდა ხუთ მარტს, თორმეტ საათის ნახევარზე.

განსახილველი საგნები:

1) საბჭოს მოხსენება წლიურ ანგარიშის შესახებ; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება იმავე საგნის შესახებ; 3) ანგარიში 1900 წლისა; 4) ხარჯთ-აღრიცხვა 1901 წლისა და 5) არჩევნები: ერთის დირექტორისა, თ. ვლ. ს. მიქელაძის მაგივრად, ორის საბჭოს წევრისა ნაცვლად ბბ. ი. გ. თულაშვილისა და ი. ბ. საგინაშვილისა და სამის სარევიზიო კომისიის წევრისა და მათის სამის კანდიდატისა. 2—1

## ტფილისის კერძო სამკურნალო

### კაურნალის გედევანიშვილისა.

აკადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დილით:

ე. ი. ჯიჯიხაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი—ნერვების და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.

ნ. ა მუდინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა,—11—12 საათამდე.

ი. ბ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი —10—2 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

ე. დ. მარკევიჩი—სადოსტაქრო— $12^1/_2$ $1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათამდე.

მ. ბ. ბეზირგანოვი—შინაგანი და ბავშვებისა 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი —5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგლოვი.—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი.—5—6 საათზე.

გ მაღალაშვილი—კვირაობით—10—12 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წდ.)

ტფილისის სათავად-აზნაურო თეატრი.

ხუთშაბათს, 22 მარტს,

გალობის მოყვარულთა გუნდის მიერ გამართული იქნება

## კონცერტი

პოლ. პეტრ- ფალიაშვილის ლოტბარობით.

განყოფილება I.

საკონცერტო. მონაწილეობას მიიღებენ: ხორო და მ. ბ. პუტინცევი, დავიდოვი, ბარათაშვილი და აგასოვი.

განყოფილება II.

### მე ჩინდა კნეინა ვყოფილიყავი

კომ. 2 მოქ. თხზ. ბ. ანტონოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, კუნდელისა; ბ.ბ. აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე და სხვ.

განყოფილება III.

საკონცერტო. მონაწილეობას მიიღებენ: ხორო, ქ. გაბუნია-ცაგარლისა და სხვ.

დასასრულ

### ლეკური

ითამაშებენ ქ. ჩერქეზიშვილისა ბ. ციმაკურიძე.

როიალს დაუკრავენ ბ.ბ. ქართველიშვილი და ფალიაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

(უ. 1—1) გამგე პ. პ. ფალიაშვილი.

### მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესი ბრძანება სამხედრო უწყებას:

მე-43 ტვერის პოლკის კორნეტს მამაცაშვილს ებოძა პორუჩიკობა.

მე-44 ნიჟე-გოროდის პოლკის კორნეტს მახათაძეს ებოძა პორუჩიკობა.

ციმბირის მსროლელთა მე-12 პოლკის პორუჩიკს ზაქ. ბაქრაძეს ებოძა წმ. ანნას მე-3 ხარისხის ორდენი მახვილითა და ბანტით.

## კიდევ ორიოდე სიტყვა მომავალ საიუბილეო გამოფენის შესახებ.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ერთხელ, რომ მომავალ საიუბილეო გამოფენის საქმე ვერ მიდის სასურველად. სამწუხაროდ, მას შემდეგ გავიდა ერთი თვე და დღესაც თითქმის იგივე უნდა ვთქვათ. გამოფენის გახსნისთვის დანიშნულ დრომდე დარჩა სულ ხუთი თვე, მისი მოწყობის საქმე-კი ჯერაც არ წაწეულა წინ საგრძნობლად. დღემდის ისიც სადავო იყო—გვექნება თუ არა გამოფენა? ეხლა, რა-კი გამოფენის პროგრამმა უმაღლესმა მთავრობამ დაამტკიცა, ხსენებული ეჭვი თითქმის ყველას გაუქარწყლდა და, როგორც სჩანს, გამოფენა გვექნება. მაგრამ, როგორი იქნება ეს გამოფენა: კარგი თუ ცუდი, სრული დამახასიათებელი ჩვენის მეურნეობა-მრეწველობისა, თუ ნაკლები,—ეს ჯერეც გამოურკვეველი რჩება; ხოლო, თუ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ გარემოებას, უფრო იმ დასკვნას დავადგებით, რომელიც ზევით აღვნიშნეთ: გამოფენის საქმე სასურველად ვერ მიდის და ამიტომ კარგს, სამწუხაროდ, არ უნდა მოველოდეთ.

აღვნიშნოთ ეს „ზოგიერთი გარემოება".

უწინარეს ყოვლისა უიმედობას გვიძლიერებს გამოფენის მოწყობისათვის საჭირო ფულის ნაკლებობა. ადგილობრივმა დაწესებულებებმა, როგორც უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა, ცოტა ფული გამოიღეს გამოფენის საქმისთვის. ამიტომაც დიდი იმედი იყო მიწად-მოქმედების სამინისტროსი. მაგრამ ეხლა ეს იმედიც გაცრუვდა: 15 ათასის მაგიერ, რომელიც ითხოვა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ, ხსენებულმა სამინისტრომ გადასდო სულ ოთხი ათასი მანეთი. ამ რიგად შეგროვდა სულ ცოტა თანხა (24 ათასი მან.) და გამოფენის საქმე ამის გამო საგრძნობლად შეფერხდება.

მეორე „გარემოება", რომელიც არა ნაკლებ ხელს უშლის გამოფენის საქმის ნორმალურად წინსვლას, არის ახირებული კინკლაობა და ცილობა იმ დაწესებულებათა შორის, რომელთაც დაევალათ გამოფენის მოწყობა. მკითხველებს ეხსომებათ, რომ საიუბილეო გამოფენის ნება-რთვა ითხოვა ორმა დაწესებულებამ: კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ და ბაღოსნობის საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ. ნება-რთვა მოუვიდა პირველს დაწესებულებას, ხოლო მეორეს წინადადება მიეცა შეუერთდეს სამეურნეო საზოგადოებას და თავის თავზე იდოს ბაღოსნობის განყოფილების მოწყობა. ამის შემდეგ მალე იჩინა თავი ამ ორ დაწესებულებათა შორის განხეთქილებამ. ბაღოსნობის საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ რამდენჯერმე საყვედური გამოაცხადა—სამეურნეო საზოგადოება ჩვენ არაფრად გვაგდებს, უჩვენოდ მუშაობს ან არაფერს აკეთებს თვითონ და ჩვენც არაფერს გვაკეთებინებსო და სხვა. ეხლა კი, როგორც სჩანს, მათში განხეთქილება გამწვავებულა. აი რასა ვკითხულობთ ოფიციალურ გაზეთ „კავკაზ"-ის გუშინდელს №-ში:

«მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განკარგულებით, გამგე-კომიტეტი საბაღოსნო გამოფენისა, რომლის გამართვაც უფრო ადრე იყო ნება-დართული, ვიდრე საზოგადო სამეურნეო გამოფენისა, უნდა შეერთებულიყო კავკასიის საიუბილეო გამოფენის გამგე-კომიტეტთან. მიუხედავად ამისა, საბაღოსნო განყოფილების კომიტეტი ერთხელაც არ ყოფილა მიწვეული საზოგადო გამოფენის კომიტეტის სხდომაზე. ამის გამო რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილების გამგეობამ შეატყობინა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ იგი ყოველ-გვარ პასუხისგებას უარ-ჰყოფს, თუ გამოფენის მოწყობის საქმეში რაიმე დაბრკოლება აღმოჩნდება და საქმე ცუდად წავა».

სალაპარი არ არის ეს განცხადება, მკითხველო? საქმის თანხმობით გაძღოლის მაგიერ ორი პასუხის მგებელი დაწესებულება ერთმანეთს ებრძვიან, ერთმანეთში კინკლაობენ და იმასაც არ აქცევენ ყურადღებას, რომ დიდი საქმე ლამის ჩაიფუშოს მათის უადგილო ცილობის გამო! ამ ორ დაწესებულების შუა ქიშპობა ახალი არ არის:

## ფელეტონი

### პანოპტიკუმ.

I

საკვირველი საქმე ემართება ევროპიულ საზოგადო აზრისა და მეცნიერების პრინციპებს, როდესაც რომელიმე ჩვენი „მოღვაწე" მათ ჩვენში გადმონერგვას დააპირებს,—ეს პრინციპები ერთბაშად, თითქოს რაღაც მანქანების ძალით, იცვლებიან და ევროპიელმა რომ იგინი ჩვენში ნახოს, თავის აზრის ნაშობს ველარ იცნობს. ზოგჯერ ამგვარებში ბავშვური დაჟინება გვემჩნევა, ზოგჯერ გადამეტებული თავმოყვარეობა და ზოგჯერ კიდევ იგივ თავმოყვარეობა სისულელესთან ერთად შეზავებული.

შენიშნული გექნება, მკითხველო, მაგალითად, შემდეგი: ბავშვი რომ რასმეს პირველად ნახავს, სცდილობს ნანახის მიბაძვას, მაგრამ როგორ? ვსთქვათ ბავშმა ნახა ცხენოსანი ცხენს მიაჭენებდა. იმ წამსვე ჯოხს ლაგამს ასდებს და ჭენებას დაუწყებს. აჭენებს ამ ცხენს ერთს დღეს, მეორეს, მესამეს... ერთის სიტყვით, მის ჭენებას არა აქვს საზღვარი (დროის). იმისთანა დაჟინება თურმე მარტო ბავშვებს კი არ სჩვევიათ, არამედ დიდებსაც, რომელთაგან ზოგნი „მოღვაწეებადაც" ითვლებიან.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს დროში სამართალი საკმაოდ რიგიანად არის დაყენებული და ერთგვარად იცავს როგორც ქონებრივს ინტერესებს, ისე პიროვნებას, ზოგი, როდესაც შეურაცყოფს ვინმე, მის მაგიერ, რომ მიჰმართოს სასამართლოს, მიჰმართავს ხოლმე სამედიატორო სამართალს. ამ შემთხვევაში სცდილობს შეურაცხმყოფელის შერცხვენას და არა მის დასჯას. მაგრამ შეურაცხყოფაც არის და შეურაცხყოფაც. ზოგს შემთხვევაში ისევ სჯობს არსებულ სასამართლოსათვის მიმართვა. ამიტომაც არის, რომ სხვაგან ათასში ერთხელ თუ მიჰმართვენ სამედიატორო სამართალს. სულ სხვას ვხედავთ ჩვენში. ვიგემეთ რა სამედიატორო სამართალი, სხვას აღარ დავეძებთ. ამიტომ სხვაგან რომ ასს შემთხვევაში ერთხელ მიმართვენ მედიატორების სამართალს, ჩვენში ყველა ასს საქმეს მედიატორებს გაარჩევინებენ. რით აიხსნება ეს? ან ჩვენის, როგორც სამხრეთელების, გადამეტებულის თავმოყვარეობით, ანა და მით, რომ მომჩივანეთ იმედი არ აქვთ თავიანთ საქმის მოგებისა სასამართლოში, ან კიდევ ინტრიგანობით. წარმოიდგინეთ, რომ ვისმეს სურს ჩირქი რამ წაგცხოთ. ამაზე ადვილი რა არის, რა კი სამედიატორო სამართალი არსებობს ქვეყანაზე. ეს ვაჟბატონი მოგიგონებთ რასმეს საძაგელს, დაგაბრალებთ, ვითომც თქვენ რამე გეთქვათ მასზე, და გამოგიწვევთ სამედიატორო სამართალში. რითი გათავდება განსამართლება, მას არ ენაღვლება; მან თავისი ჰქნა, ცუდი სახელი მოგხვიათ თავზე და სამართალში მიგცათ. ეს იმის მაგალითია, როდესაც სამედიატორო სამართალში გაწვევის მიზეზი—ინტრიგაა აი სხვა მიზეზით გამოწვეულის მაგალითიც.

ერთი ვინმე, ვთქვათ, დასეირნობს მუშტაიდში; სეირნობის დროს ცხვირს დააცემინა, სწორედ იმ დროს თქვენ ალექსანდრეს ბაღში გულიანად გადიხარხარეთ. მუშტაიდში სეირნობის მოყვარული გიწვევთ თქვენ სამედიატორო სამართალში და გაბრალებთ, რომ თქვენ განზრახ, მისდა დასამცირებლად გაიცინეთ სწორედ იმ დროს, როდესაც მას ცხვირს დააცემინა. ეს კიდევ კარგი, თორემ შეიძლება ისიც დაგაბრალოთ, რომ თქვენი ხარხარი მის ცხვირის დაცემინებაზე „დანოსი" იყო... მიზეზი სხვა და სხვა შეიძლება იყოს, ხოლო ფაქტი კი ის არის, რომ დღე არ გავა, არ წავიკითხოთ ამა თუ იმ გაზეთში, რომ ეს და ეს ითხოვს სამედიატორო სამართალში ამას და ამას; ახლა რამდენი ისეთი საქმეც არის, რომ გაზეთში არ გამოქვეყნდება ხოლმე. ერთის სიტყვით, უნდა იცოდე, მკითხველო, რომ ქუჩაში რომ გამოხვალ, ყოველ ხუთ კაცში ერთი მომჩივანია, ერთი მოპასუხე, ორი მედიატორე და მეხუთეც მათგან არჩეული თავმჯდომარე. ბავშვის ცხენოსნობაა—მაშ რა არის?

ყველა იმ მოვლენას, რომელსაც მეტად ხშირად ხედავთ, ადვილად შეამჩნევთ, თუ დააკვირდებით, რომ იგი რაიმე კანონს ექვემდებარება.

ჩვენც შევამჩნიეთ სამედიატორო სამართლის სიხშირეს ერთი კანონი. ეს ის, რომ მეტ ნაწილად მომჩივანე და მოპასუხე განირჩევიან იმით, რომ ერთი ინტელიგენტია და მეორე არა: მოპასუხე ინტელიგენტი და მომჩივანი—არა, და საგანი მათის

მანვე იჩინა თავი, მაგალითად, აზრეშის მრეწველობის მოწესრიგების საქმეშიაც; აქაც ორივემ უიდლილ კინლაობა ... წლის მის მაგიერ, რომ ქვეყნისთვის დიდი საქმე გულდასმითა და ფრთხილად გაერჩიათ...

მესამე დამამძრახებელი „გარემოებაც“ ის არის, რომ პროვინციაში კომიტეტები ნაკლებად დაარსდა და რომელიც დაარსდა, ისინიც ვერ იჩენენ საჭირო სიცხოველესა და ენერგიას..

ჩვენ აღარ ჩამოვთვლით სხვა გარემოებათ, რადგანაც აღნიშნულიც საკმაოდ მიგვაჩნია იმის დასახასიათებლად, რომ გამოფენის მოწყობის საქმე ვერ მიდის რიგიანად. ხვალ, პარასკევს, დანიშნულია სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება და აუცილებლად საჭიროა სერიოზულად შეხედოს კრებამ დიდს საქმეს, რომელიც ითავა საზოგადოებამ. თუ ამ თავითვე არ გვეცადინება, რომ გამოფენა რიგიანი იქნება, ისეთი, როგორიც შეეფერება კავკასიის მეურნეობა-მრეწველობის დღევანდელ მდგომარეობას, სჯობს ეხლავ უარი განვაცხადოთ მის მოწყობაზე.

## დეპეშები

(„რუსეთის ტელეგრ. სააგენტოსაგან“)

20 მარტი.

**პეტერბურგი.** 20 მარტს დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე თავისის უღვაწლესობის მეუღლით და შვილებით წავიდა ყირიმს, თავის მამულს აიტოდორში წავიდა. 20 მარტს ინგლისის საგანგებო ელჩი ჰერცოგ აბერკორნი მეთაურობით და ინგლისის ელჩი პეტერბურგში ცარსკოესელოში წავიდნენ. ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა დიდებულად მიიღეს ინგლისის საგანგებო ელჩი ჰერცოგი აბერკორნი; ამის შემდეგ საგანგებო ელჩმა წარუდგინა მათ იმპერატორებითს უდიდებულესობას ყველა სხვა საგანგებო ელჩებიც. 19 მარტს ნარიინის თეატრში გამართული იყო დიდი კონცერტი ინვალიდების სასარგებლოდ; კონცერტზე დაესწრო ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავრები.— გამოცხადებულია, რომ გამოცემულ იქნება სახელმწიფო 4% რენტის მოწმობების ახალი მე-230 და მე-231 სერიები ოცი მილიონი მანეთისა.

**ოდესსა.** ქალაქის თავად ოთხის წლის ვადით არჩეულ იქნა ისევ წინანდელი ქალაქის თავი პავლე ალექსანდრეს ძე ზელენოი.

**ნოვოჩერკასკი.** მეტად თბილი ამინდის შემდეგ უცებ ისევ სიცივეები დაიჭირა.

**ჩერნიგოვი.** ნავთა მიმოსვლა დაიწყო.

**მაღლბურგი.** ზამთრის მოახლოვების გამო ბურები ჩრდილოეთისაკენ მიდიან, ბუშველდისაკენ,—მაგრამ რკინის გზის ორსავე მხარეზე კი ბურების წვრილი რაზმები დარჩნენ.

**ლონდონი.** იუწყებიან, რომ ინგლისელი კაპიტალისტების ამხანაგობამ მიიღო კონცესსია შანსიში და ხუნანში; ეს კონცესია შეიცავს ქვა-ნახშირის მადნების ჯერ ხელ უხლებელ 71,000 ინგლისურ ოთხ-კუთხ მილს და რკინის მადნების და ნავთის წყაროების 3,000 ინგლისურ ოთხ-კუთხს მილსა. ეს კონცესია მიცემული იყო ჯერ კიდევ ეხლანდელი კრიზისის წინად; დამტკიცებული იყო ინგლისისა და იტალიის ელჩების მიერ პეკინში და ცუნგ-ლი-იამენის ბეჭდით იყო შემოწმეებული.

**პეკინი** რადგანაც მოლაპარაკების საქმე საკმაოდ სწრაფად მიდის და იმედია, რომ საქმეები მალე გადაწყვეტილ იქნებიან, ამიტომ პიშონმა თავისი წასვლა გადასდო.

**ლონდონი.** გამოცემული ბიულეტენის მიხედვით, სოლსბერი ეხლა უკეთაა.

**პრეტორია.** პრეტორიის ახლო ბურების პატარა რაზმები დადიან, ისინი იტაცებენ საქონელს და მატარებლების რელსებიდან გადაგდებას სცდილობენ.

ინგლისელებმა დაიჭირეს ვარმბიდი; ბურებმა მცირე წინაამდეგობა გაუწიეს.

**ლონდონი.** კიტჩენერი იუწყება, რომ პლუმერმა ნილსტრომი დაიჭირაო, ხოლო ფრენჩმა მდინარე პონგოლის ბოლოში ცავლად აიღო 15 გირვანქიანი ზარბაზანი და ერთიც მსწრაფლ მსროლელიო.. ორანჟეს ახალშენში 31 კაცი წაიყვანეს ტყვედ, ისე რომ ინგლისელებს ზარალი არ მოსვლიათ.

**კილი.** შუადღის დროს გერმანიის გემი ჩაუშვეს ზღვაში: ეს გემი სამხრეთ პოლიუსისაკენ უნდა გაემგზავროს.

**პეკინი.** ჩინეთი დასთანხმდა სახელმწიფოებს, რომელებსაც განზრახვა აქვთ კუნძულ კულანსუზეამოის ახლო საერთაშორისო მოსახლეობა გამართონ მსგავსად შანჰაისა.

(იხილე საღამოს დეპეშები მე-4 გვერდზე)

## ჟურნალ-გაზეთებიდან

✿ ამ დღეებში ლონდონში «ჭოტელ სესილში» მთავრობის მომხრე ლიბერალ იმპერიალისტების საბჭომ კრება მოახდინა. უმთავრეს მოლაპარაკედ ამ კრებაზე გამოვიდა ცნობილი ლიბერალი უნიონისტი მოღვაწე ედუარდ გრეი. მისი სიტყვა უმთავრესად შეეხებოდა სამხრეთ-აფრიკის საქმეებს:

«თავდაპირველადვე,—სთქვა მან,—სრულიად ცხადი იყო, თუ ვინაა იმის მიზეზი და ცხადია, რომ ბურების რესპუბლიკები უნდა შემოუერთდნენ ინგლისის სამფლობელოებს. ამ ჟამად ომი თითქმის თავდება და დროა, რომ ვიფიქროთ ტრანსვაალისა და ორანჟეს რესპუბლიკის მომავალ მართვა-გამგეობის შესახებ. ერთი წინადადება ამის შესახებ უკვე წარმოდგენილი იყო მთავრობისაგან. მე არა ვარ მომხრე «სახელმწიფო ახალშენის მმართველობისა», მაგრამ ვფიქრობ, რომ ინგლისის მიერ მიცემული პირობები მეტად სასარგებლო იყო ბურებისათვის. არა მგონია, რომ შეიძლებოდეს იმათზე უკეთესი პირობების მიცემა, როგორიც კიტჩენერმა ბოტას შეუთვალა თავის წერილში და არ მესმის რისთვის უარჰყვეს ბურებმა ეს პირობები. უნდა ვიფიქროთ, რომ იმათ ევროპიელების დახმარების იმედი უღვივით კიდევ, მაგრამ ისინი, ვინც ამისთანა უსაფუძვლო იმედს უნერგავენ ბურებს, მძიმე პასუხის გებას ჰკისრულობენ თავიანთ თავზე. ყოველ შემთხვევაში, ბურების დამოუკიდებლობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. (ტაშის ცემა). რაც შეეხება იმ ინგლისის ქვეშევრდომების დასჯას, რომლებიც ბურების მხარეს იბრძოდნენ, რასაკვირველია, შეუძლებელია, რომ იმათ სრული ამნისტია მივცეთ; ისინი უსათუოდ უნდა დაისაჯნენ, მაგრამ ეს სასჯელი ლმობიერი უნდა იყოს. ამას გარდა, უნდა დავარწმუნოთ სამხრეთ-აფრიკაში მცხოვრები ინგლისელები, რომ ისინი ლმობიერად და დიდსულოვნურად ექცეოდნენ ბურებს. ამ მიზანს ყველაზე უკეთესად მიაღწევს ბ. ალფრედ მილნერი. ახალშენთა მინისტრმა განაცხადა პალატაში, რომ ბურები მილნერის წინააღმდეგი არიანო. მაგრამ, თუ ბურების მოთხოვნით მილნერს გადავაყენებთ, მაშინ ყოველი სხვა პირი, იმის ადგილას დანიშნული, მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩავარდება, რადგანაც სამხრეთ-აფრიკელი ინგლისელების ნდობა აღარ ექნება».

✿ 12 მარტს მოხდა ირლანდიელების პარლამენტარული დასის კრება, რომელსაც მსჯელობა ჰქონდა მეფის ფიცის ფორმულაზე და იმ კომისიაზე, რომელმაც ეს ფიცი უნდა განიხილოს და შესცვალოს. კრებამ გადასწყვიტა, რომ იმ ინსტრუქციის შინაარსი, რომელიც მიეცა ამ კომისიას, ირლანდიელების მოთხოვნას არ აკმაყოფილებსო. შემდეგ ირლანდიელებმა გადასწყვიტეს არ მიიღონ მონაწილეობა ხსენებულ კომისიაში, ხოლო თავიანთი მოთხოვნანი დაიცვან პალატაში, როცა პალატა კომისიის მოხსენების განხილვას შეუდგება.

✿ 12 მარტს საფრანგეთის მთავრობამ დიდად გაიმარჯვა პალატაში; ამის მსგავსად ჯერ არ გაუმარჯვნია მთავრობას მას აქეთ, რაც პალატაში ასოციაციების შესახებ კანონ-პროექტი ირჩევა. პალატამ მიიღო ამ პროექტის მე 14 მუხლი, რომელიც აღკრძალულ სარწმუნოებრივი კონგრეგაციების წევრებს, მაგალითად, იეზუიტებს მასწავლებლობის უფლებას ართმევს. ამ მუხლის დამტკიცება დიდი მეხია საფრანგეთის კლერიკალებისათვის და შესამჩნევად გააუქმებს იმ ფალუს კანონს, რომელიც მოქმედებს 1850 წლიდან და რომლის ძალითაც სწავლების თავისუფლებაა აღიარებული. ამ მე-14 მუხლის გამო კამათმა სამს დღეს გასტანა. მთავრობის მოწინააღმდეგეებმა თავიანთ საუკეთესო ორატორები აალაპარაკეს. მე-14 მუხლის წინააღმდეგ ლაპარაკობდნენ გრაფი დე-მენი (მემარჯვენეთა დასის წევრი) და რიბო (ზომიერი რესპუბლიკელი); მის დასაცველად ლაპარაკობდნენ ბურჟუა, საერო განათლების მინისტრი ლეიგი და თითონ ვალდეკ-რუსსო. გრაფ დე-მენი ამტკიცებდა, რომ მე-14 მუხლი სწავლების თავისუფლებას ავიწროვებსო და სარწმუნოების წინააღმდეგაა მიმართულიო. რიბო ამტკიცებდა, რომ ხსენებული მუხლი მხოლოდ უბრალოდ სარწმუნოებრივ მშვიდობიანობას არღვევსო, რადგანაც ბოლოს და ბოლოს ეს მუხლიც ისეთივე უძლური გამოდგება, როგორადაც უძლური და ტყუილი გამოდგა 1871 წლ. კანონი იეზუიტების განდევნის შესახებაო. ამ მუხლის დამცველ და მომხრე ორატორებში დიდი გავლენა იქონია ლეონ ბურჟუას სიტყვამ. მან სასტიკად გაარჩია ის სწავლა, რომელსაც კონგრეგაციების სკოლები აძლევენ; მან საინტერესო ადგილები მოიყვანა ამ სკოლებში მიღებულ სახელმძღვანელოებიდან; მოყვანილი ადგილებიდან გამოჩნდა, რომ კონგრეგაციების წიგნებში ამართლებენ გუგენოტების ამოწყვეტას და ნანტის ედიქტის გაუქმებას, თუმცა კი «დრაგონადები» სრულის სავსებით არაა მოწონებულიო. «მე ვიყავ უკანასკნელ მსოფლიო გამოფენაზე საერო განათლების სექციის ექსპერტად,—განაგრძო ბურჟუამ,—გავიცანი კლერიკალური სკოლების მოწაფეების ნაწერები და დავრწმუნდი, რომ ამ სკოლების მოწაფეებს მოსწონთ ინკვიზიცია; ისინი უარჰყოფენ ცოლქმართ გაყრას, ჰკიცხავენ საერო განათლებას, ურიებსა და ფრანკ-მასონებს საზოგადოების მტრებადა სთვლიან, რესპუბლიკას უწმინდურ დაწესებულებას ეძახიან და ჰქადაგებენ სამოქალაქო ომსა. ეკლესიას,—სთქვა დასასრულ ბურჟუამ,—თავისთვის კი ჰსურს თავისუფლება, ხოლო სხვისათვის კი არა». ამაზე უფრო ძლიერ პალატამ ვილდეკ-რუსსოს სიტყვა მოიწონა; პირველი მინისტრი ამტკიცებდა, რომ სკოლების დატოვება აღკრძალული კონგრეგაციების ხელში ნამდვილად შეუძლებელიაო, რადგანაც ეს კონგრეგაციები ცხადად ჰმტრობენ რესპუბლიკასაო და თავიანთ მოწაფეებს უქადაგებენ, რომ იმათ დაუსჯელად შეუძლიანთ რესპუბლიკის უმთავრესი კანონები არ შეასრულონო. დაარწმუნა რა პალატა, რომ «კანონსაში ნუ წავალთო», ვალდეკმა შემდეგის სიტყვებით დაასრულა: «მთავრობა გთხოვთ, რომ თქვენ აღიაროთ არა თუ მხოლოდ თქვენი ნდობა მთავრობისადმი, არამედ თვით თქვენდამივე ნდობა და უველაზე წინ რესპუბლიკის ტრადიციის ერთგულებისადმი ნდობა.

---

უთანხმოებისა უფრო ეს განსხვავებაა, ვიდრე რამე სხვა.

ამ ბოლოს დროს ინტელიგენტის სახელი და უფრო დიპლომის ქონა მეტად აღელვებს და აბრაზებს ჩვენის საზოგადოების ერთ-ერთ ნაწილს; ეს ნაწილი შესდგება რაღაც ახირებულ ადამიანებისაგან, რომელნიც განსაკუთრებულს, განსხვავებულს და ამიტომ ზოოლოგიურად მეტად საინტერესო ტიპს წარმოადგენენ ადამიანის კლასში... ამ ტიპის დახასიათება შორს წაგვიყვანს და ამიტომ ერთ-ერთს მათს ახირებას მოგახსენებთ. საქმე აი რაში არის: მათის გამოკვლევით, მთელი კაცობრიობა სცდებოდა, როდესაც ამბობდა, რომ ინტელიგენციას შეადგენს განათლებული ნაწილი ხალხისა და განათლებულად ის ითვლება, ვისაც რაიმე უმაღლესი სასწავლებლის კურსი დაუმთავრებია. არაო,—ამბობენ ესენი,—ინტელიგენციას შეადგენენ ისინი, ვინც სასწავლებელში ყოფილა და მესამე კლასიდან უნიჭობისა, სიზარმაცისა და სხვა ამგვარ საპატიო მიზეზთა გამო გამორეკილ იქმნენ. აბა რა საბუთია ცოდნისა, ან სწავლისა დიპლომი უნივერსიტეტისა და ან რომელიმე სხვა უმაღლეს სასწავლებლისა? განა ცოტანი გვინახავს დიპლომიანი უნიჭო და ცოდნას მოკლებულნი?

მართალია, ბატონებო, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ულირსს აჯილდოვებენ დიპლომით, არა იშვიათია ისიც, რომ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო სასწავლებლიდან უდროოდ გამოსულს შემდეგში, როდესაც სასწავლებელში დაბრუნება აღარ შესძლებია, თავისით შეუვსია თავისი ცოდნა, განვითარებულა და უდიპლომოდ დიპლომიანზე უკეთესი სახელი მოუხვეჭია. ყველა ეს შესაძლებელია.

მაგრამ სად ეს მაგალითები და სად ის კანონი, რომ დიპლომი არ ცოდნისა და უნიჭობის ნიშანია და უდიპლომობა კი დიდის ნიჭისა და ცოდნისა, თითქმის ტალანტისა და გენიოსობისაც კი.

*
* *

ასე ადვილად ჰქმნიან ჩვენში სხვა-და-სხვა კანონებს—პოლიტიკურს, სოციალურს და მეცნიერულსაც კი, წარმოიდგინეთ. კანონებს კი არა, მთელს მეცნიერებას სახეს უცვლიან. მკითხველებმა იციან, მაგ., რომ არსებობს მეცნიერება, რომელსაც სტატისტიკა ჰქვიან. ისიც ეცოდინებათ მკითხველთ, რომ ეს მეცნიერება იკვლევს სხვა-და-სხვა მოვლენებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს მოვლენა მეტად ხშირია და ყოველთვის ერთნაირი, იმიტომ რომ რაც უფრო მრავალ-რიცხვოვანია დაკვირვება და გასინჯვა, მით უფრო მართალია სტატისტიკის შემწეობით აღმოჩენილი კანონი. ამიტომაც არის, რომ სტატისტიკას ზოგჯერ „დიდ რიცხვთა“ მეცნიერებას უწოდებენ. ეხლა ნახეთ, რად იქცა ეს მეცნიერება ჩვენებურ მკვლევართა ხელში. ამათ, როგორც მოგახსენეთ, სრულებით შეუცვალეს სახე ამ მეცნიერებას და სტატისტიკის უმთავრეს პრინციპად აღიარეს—რაც შეიძლება ნაკლები დაკვირვება და სულ პატარა რიცხვები. აი ამგვარის სტატისტიკის მაგალითიც: ამა და ამ წელს ერთ-ერთს გიმნაზიის მერვე კლასში იყო ოც და თერთმეტი მოსწავლე. ამათგან ათი რუსი, ათი—სომეხი, ათი თათარი და ერთი ქართველი; მერვე კლასი დაასრულეს ცხრა რუსმა, ცხრა სომეხმა, ცხრა თათარმა და ერთმა ქართველმა. პროცენტებად რომ გამოვთვალოთ 90% რუსმა, 90% სომეხმა, 90% თათარმა და 100% ქართველმა. აქამდისინ ანგარიში, როგორც უბრალო არითმეტიკული გამოთვლა, მართალია, მაგრამ დახეთ, როგორ გამოიყენა ეს ანგარიში ჩვენებურმა მეცნიერმა; მან არც აცივა, არც აცხელა და ამ არითმეტიკას სტატისტიკა დაარქვა და რაკი სტატისტიკის მოწმობით ქართველების პროცენტი მეტი გამოდგა, დააკანონა, რომ ქართველები ყველაზედ ნიჭიერები ყოფილან. ქართველი მკითხველი ვერც კი ჰგრძნობს, რომ მინამ ის ერთი ქართველი ეგზამენებს იჭერდა, ეს ვეზუვიზე იჯდა. მართლა და, რომ ვეღარ დაესრულებინა სასწავლებელი იმ ერთს ქართველს? მშვიდობით მაშინ ქართველების ხაქებო ნიჭო!

*
* *

ღვთის წინაშე მართალიც კი იქნებოდა ის ერთი ქართველი, რომ მოენდომებინა და ამ ნაირად მაინც დაემტკიცებინა ჩვენთვის ჩვენი უნიჭობა. უნიჭოები ვართ, მაშ რა ვართ, როდესაც მომზადებულნი რომელიმე საქმისათვის ჩვენში ვერ უძლვებიან ამ საქმეს ხეირიანად, რაც უნდა ადვილი იყვეს იგი. ჩვენმა დრამატიულ საზოგადოების კომიტეტმა გარდაცვალებულის თ. რაფიელ ერისთავის სახსოვრად გამართა „სალიტერატურო საღამო“. განსვენებულის „ბიძიასთან გამოხუმრება“ მშვენიერი ვოდევილია და სალიტერატურო საღამოსთვის სწორედ ზედ გამოჭრილი იყო. ქ. საფაროვისას და ბ. ვ. აბაშიძეს უნდა ვმადლობდეთ, რომ მთელ პროგრამაში მხოლოდ ეს ერთი ვოდევილი იყო კარგად ასრულებული და კიდევ ბ. მგალობლიშვილს სცენების წაკითხვისთვის თ.

ბა ადიართოთ. რო ა მინისტრ-პრეზიდენტი ტრიბუნიდან ჩამოვიდა, მემარცხენეთა დასმა დიდი ოვაცია გაუმართა ვალდეკს. შემდეგ ამის მე-14 მუხლი მიღებულ იქმნა 318 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 230 ამ კანონის წინააღმდეგები იყვნენ მემარჯვენეთა დასი, ნაციონალისტები, მელინისტები და რამდენიმე რადიკალი.

✿ ტუვე ბურების ნაწილს, როგორც საზღვარ-გარეთელი გაზეთები იუწყებიან, ინგლისის მთავრობა ინდოეთში ჰგზავნისო. გაზეთებივე იუწყებიან, რომ პრეზიდენტი კრიუგერი ბეჯითი პროტესტის გაგზავნას აპირებს ყველა სახელმწიფოებითანაო, რადგანაც ინდოეთის ჰავას ბურები ვერ აიტანენ და სულერთიანად გასწყდებიანო.

✿ «ინდეპენდანს ბელჟის» ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, ვითომ ლორდმა კიტჩენერმა განგებ დაიწყო ზავზე მოლაპარაკება ბურებთანო, რათა ესარგებლნა ამ დროთი თავის ჯარების შესასვენებლად და ახალი ჯარების მოუვანა, იარაღებისა და ტანსაცმელის მოტანა მოესწრო. მოლაპარაკებამ მთელი თვე გასტანაო. ამ დროს განმავლობაში სამხედრო მოქმედება თითქმის შეწყვეტილი იყოო; კაპშტადტში მოვიდა ინგლისიდან 12000 ჯარის კაცი, იარაღი, თბილი საზამთრო ტანსაცმელი (სამხრეთ აფრიკაში ეხლა ზამთარი დგება), ცხენები და ჯორები. კიტჩენერმა წინდაწინვე იცოდა, რომ ალფრედ მილნერი კაპის მცხოვრებლების ამნისტიის წინააღმდეგი იქნებოდაო; იმან იცოდა, რომ ზავი შეუძლებელი იყო, რადგანაც ბურები არაფერში არ ენდობიან მილნერს; ისიც იცოდა კიტჩინერმა, რომ ბოტას უარი უფრო გაამხნევებდა ბურებს და გამარჯვების იმედს გაუძლიერებდა. ყველა ეს იცოდა კიტჩენერმა, მაგრამ ის ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო, რომ ძალაუნებურად ტყუილი მოლაპარაკება უნდა გაემართაო.

# ახალი ამბავი

✦ ხვალ, 23 მარტს, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში საღამოს $7^1/_2$ საათზე დანიშნულია კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც მიმდინარე საქმეების გარდა განხილულ იქმნებიან ზოგიერთი საკითხები კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის მოწყობა მომართვის შესახებ; ამავე კრებაზე განიხილავენ საზოგადოების ამა 1901 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვას და აირჩევენ საზოგადოების საბჭოს ერთს წევრს. კრებაზე გარეშე პირთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

✦ პეტერბურგიდან იტყობინებიან, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ. იანოვსკი წამოვიდა კავკასიაშიო.

✦ ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის თავს შეაჩეროს სისრულეში მოყვანა საბჭოს დადგენილებისა მომავალ არჩევნების შესახებ.

✦ მოგვყავს სრულად კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს დადგენილება შესახებ საბაღოსნო სკოლისა: 1) მიღებულ იქმ ას თხოვნა სკოლის მზრუნველის ფიგუროვსკისა სამსახურიდან დათხოვნის შესახებ და გადაეცეს ადმინისტრატიული და სამეურნეო საქმეები სკოლისა სამეურნეო კომისიას; 2) შეწყვეტილ იქმნას სკოლაში სწავლა, 3) წინადადება მიეცეს სკოლის გამგეს გადისცეს სკოლის ყველა საქმეები უფროსს მასწავლებელს და მოსძებნოს სხვა ადგილი· ჯამაგირი მიეცემა მას ორი თვის განმავლობაში; 4) წინადადება მიეცეს მასწავლებელ მ—ს თავი დაანებოს სკოლას; 5) გამოირიცხოს სამსახურიდან სკოლის ეკონომი (იგივე ფერშალი) და 6) წინადადება მიეცეს სამეურნეო კომისიას წარმოადგინოს რაც შეიძლება მოკლე ხანში სკოლის რეორგანიზაციის პროექტი. ძლივს!

✦ გუშინწინ ქართველ თავად-აზნაურთა თეატრში ქუთათურმა დასმა გამართა უკანასკნელი საგასტროლო წარმოდგენა. წარმოდგენილ იქმნა ქ.ბ-ნ ნ. ჩხეიძის საბენეფისოდ დრამა „უბედური ნაბიჯი“. ამ წარმოდგენამ დაგვარწმუნა, რომ ნინა ჩხეიძე ნიჭიერი დრამატიული არტისტია და მეტად დიდი შეძენაა ჩვენის ღარიბ სცენისათვის. მისმა მშვენიერმა თამაშმა და ბ. ალექსი-მესხიშვილის ჩვეულებრივმა თავის როლის საუცხოვოდ ასრულებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს მაყურებლებზე, რომელთა რიცხვი, სამწუხაროდ, არ იყო დიდი.

✦ ამ დღეებში გრაფინია უვაროვისა მიდის პეტერბურგს.

✦ მომავალ საიუბილეო გამოფენის კომისარმა თ. ი. ანდრონიკაშვილმა სთხოვა პოლიცმეისტერს, რათა არ შეაჩერონ მუშაობა საბაღოსნო სკოლის ბაღის ახალ კედლის დანგრევისა.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის თანაშემწე ტფილისიდან წავიდა.

✦ კავკასიის მთავარმართებელმა ნება დართო განჯის გუბერნატორს მოიწვიოს საგუბერნიო და ადგილობრივ ბეითალთა კრებაზედ განჯაში ადგილობრივი მცხოვრებნიც.

✦ გუშინ, 21 მარტს, ტფილისის ყასბებს წარუდგენიათ ქალაქის თავისათვის ხორცის ვაჭრობის ამხანაგობის პროექტი. მიზანი ამხანაგობისა-წევრებისათვის საქონლის ყიდვა პირდაპირ მეპატრონეთაგან, უმაკლეროთ და უკომისიონეროთ. ყოველ ყასაბს შეუძლიან გახდეს ამხანაგობის წევრი; გამგეობა შესდგება 10 კაცისაგან, რომელთაგან 7 საქონელს იყიდის და 3 ამხანაგობის ფინანსებს განაგებს. ამხანაგობა დაიწყებს მოქმედებას, როცა საამხანაგო ფული 3000 მანეთამდეავა; თითოეულს წევრს შეაქვს ამხანაგობის კასსაში 10 კ. ყოველ დაკლულ მსხვილ ფეხ საქონელზე და 5 კ. წვრილ ფეხზე. გარდა ამისა, როცა წევრი ყიდულობს საქონელს, იგი მოვალეა გადაიხადოს ამხანაგობის სასარგებლოდ 10% გადახდილ ფასისა. საქონლის ყიდვა შეიძლება მხოლოდ გასაყიდ საქონლის ბაკში. ვინც რომელიმე წესს ხელშეკრულებისას დაარღვევს, მას გადახდება ჯარიმათ 1000 მან. ამხანაგობის სასარგებლოდ. ხელშეკრულობის ვადაა 3 წელიწადი, თუმცა ამ ვადამდეც შეიძლება ამხანაგობიდან გამოსვლა.

✦ უმთავრესმა საექიმო დეპარტამენტმა, მიიღო რა მხედველობაში ფერშლების სრული სამკურნალო მოუმზადებლობა, აღუკრძალა მათ დამოუკიდებელი საექიმო პრაქტიკა.

✦ კავკასიის საბეითალო სამმართველოში აღძრულია კითხვა შესახებ ბეითალ-ფერშლების სკოლის დაარსებისა ამიერ-კავკასიაში.

✦ ტფილისში შემდგარა გრენიორების სინდიკატი, რომელსაც დაუნიშნავს 6 მისხლიან კოლოფზე 1 მან. 50 კაპ. და 1 მან. ფასი, რაც უკვე შეატყობინეს გრენის (აბრეშუმის თესლის) ყველა საწყობებს. გაზ. „კავკაზი“ ამ მოვლენას ხსნის იმ გარემოებით, რომ მეაბრეშუმე გლეხობა არ ჩქარობს აბრეშუმის თესლის ყიდვას და იძლევა 6 მისხლიან კოლოფში 60—80 კაპ.

✦ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ბ. სერგეი წერეთელმა შესწირა 100 მან. „ნაძალადევში“ განზრახულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მოსაწყობად.

✦ ქალაქის სანერგეებისა და ბაღების კომისია სამშაბათს, 20 მარტს, წავიდა ს. ლილოში იქაურ წყაროების დასათვალიერებლად. გადაწყვეტილია გამოიკვლიონ ეს წყაროები, რადგანაც განზრახვა აქვთ წამოიყვანონ იქიდან წყალი ტფილისში კუკიის ქალაქის მიწების მოსარწყავად.

✦ სამშაბათისათვის (20 მარტი) დანიშნული იყო სხდომა იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს შემოუტანელ დასაფასებელ გადასახადის პატიების საქმე და, რასაკვირველია, არ შესდგა.

✦ უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს ბ როპის დაუბრუნეს ფუნიკულერის პროექტი ზოგიერთ ნაკლთა შესასწორებლად. პროექტი ხელ-ახლად უნდა წარედგინოს გამგეობას ამ დღეებში.

✦ პეტერბურგში დაუჭერიათ ტფილისში მოხელედ ნამყოფი გულვერტი, რომელსაც ყალბის საბუთის ქაღალდებით უნდა მიეღო სახელმწიფო ბანკიდან 22 ათასი მანეთი.

✦ ექიმი-დოსტაქარი ჩუდნოვსკი, რომელიც გაგზავნილი იყო შორეულ-აღმოსავლეთში, დაბრუნდა და სამსახურს შეუდგა.

✦ პირველ ქალთა გიმნაზიაში ერთ მოსწავლეს უყიდია კანფეტები ტფილისის ფაბრიკის „ლუისისა“ და შეჭმისთანავე ცუდად უგვრძია თავი, ასტეხია პირის საქმება და მუცლის ტკივილი; საჭირო შეიქნა ექიმის შემწეობა.

✦ სამშაბათს, 20 მარტს, ტფილისის მცხოვრებმა იაკობ ბოიკოვმა მოჰპარა ტფილისის მოქალაქეს სერგო მარტინასძეს ქანანოვს 225 მან. ვექსილისა და სხვა საბუთის ქაღალდები. ბოიკოვი უკვე დააპატიმრეს და პასუხის გებაში მისცეს.

# პროვინცია

**სოფ. ტოლოში** (ახალციხის მაზრა). ეს სოფელი სძევს 47 ვერსის მანძილზედ ქ. ახალციხიდან და შეადგენს საზღვარს ორის მაზრის და ჯავახეთ-მესხეთის შუა. იგი შედარებით მაღლა სდგას სხვა სოფლებზედ, როგორც ბუნებით, აგრეთვე სწავლა განათლებით. მიზეზი უკანასკნელისა გახლავთ ჩვენი სკოლა რომელიც კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას ეკუთვნის. ეს სკოლა არსებობს 1869 წლიდან და ამ ხნის განმავლობაში ის და მასწავლებლები დაუღალავად მუშაობენ ჩვენი სოფლის სასარგებლოდ, რისთვისაც მათ სოფლის სიყვარული და სიმპატია დაიმსახურეს. წელს ახალის და ახალგაზდა მასწავლებლის გ. შატბერაშვილის მეცადინეობით შეგროვილ ფულით გამოვიწერეთ სკოლისთვის გაზეთი «ცნობის ფურცელი» ჟურნალები: «მოამბე» «ჯეჯილი» და „Природа и люди“ (ეს პირველი მაგალითია ჩვენი სკოლის ცხოვრებაში), ყოველ კვირა უქმით ჩვენი ხალხი ეკკლესიაში ისმენს მასწავლებლის მიერ წაკითხულ ქადაგებას:—იმ დღის სახარების ახსნას, გაბრიელ ეპისკოპოსის, ამბროსი ნეკრესელის ქადაგებებს და სხვა და სხვა წმ. ცხოვრებას. კვირაში სამჯერ ზამთრობით, როდესაც ხალხი მოცლილი არის ხოლმე ყველა სამუშაოდან, სასწავლებელში იმართება სახალხო კითხვები. ყველა წიგნი ჯერ წაიკითხება და მერმე მასწავლებელივე განუმარტავს მის შინაარსს დაწვრილებით. ამ ზამთარს მრავალი სახალხო წიგნი მოისმინა ჩვენებურმა და სხვათა შორის დიდი შთაბეჭდილება იქონია ხალხზედ დ. მაჩხანელის «ძმურმა სიტყვამ» და «წმ. ნინოს ცხოვრებამ».

ლავრენტი მელიქიძე

# სასამართლო

გუშინ, 21 მარტს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საყურადღებო სმქმე ბაქოს ნავთის მწარმოებლის ქრისტე-

---

რაფ. ერისთავს მრავალი ლექსი აქვს მშვენიერი; სცენიდან კი მხოლოდ ორი ლექსი წაგვიკითხა ბ. კ. ყიფიანმა. ლექსები, მართალია, საუკეთესო ამოერჩია. მაგრამ მათი წაკითხვა კი ღმერთმა შეინახოს. ბ. ყიფიანი სცენის მოყვარული ხომ არ არის, ის არის არტისტი პროფესიით და ნუ თუ ორს ლექს ზეპირად ვერ დაისწავლიდა, მეტადრე ასეთის მნიშვნელოვანის საღამოსთვის? ვთქვათ, ვერ მოასწრო; ნუთუ კულისებში ორჯელ, სამჯერ ვერ გადაიკითხა, რომ სცენაზე არ ეთქვა—„არ გავცვლი სალსა კლდებზე უკვდავების ხესაო“; თვით წაკითხვის კილო ხომ მეტად მაღალი და შეუფერებელი იყო. მერე რა საჭირო იყო რაფიელ ერისთავის სახსოვრად გამართულს საღამოს პროგრამაში „მიყვარს ფაცხა“, „თამარის დროშა“ და „ბუბა ქაქუჩელა“? რა აქვს საერთო რაფიელ ერისთავის პოეზიას „ბუბა-ქაქუჩელასთან“? დრამატიულ საზოგადოების კომიტეტს ეკითხება, ალბად.. საზღვარ-გარედ, თუ არა ვცდებით, მხოლოდ საფრანგეთში შემოღებულია ე. წ. „conférence“-ები. როდესაც სდგამენ შესანიშნავს კლასიკურს, პიესას, ერთი ვინმე წარმოდგენამდე ლექციას უკითხავს ხალხს ან ავტორის შესახებ საზოგადოდ, ან განსაკუთრებით პიესის შესახებ. დრამატიულ საზოგადოების კომიტეტმაც მოიწადინა ასეთ კარგის მაგალითისათვის მიბაძვა და მიიპატიჟა ზემოხსენებულ საღამოსთვის „conférencie“-ად თავადი აკაკი წერეთელი. ბ. აკაკი წერეთელს უნდა წარმოეთქვა სიტყვა რაფიელ ერისთავზე. უნდა წარმოეთქვა თქო, ვამბობთ, რადგან ბ. აკაკი წერეთელმა რაფიელზე ძლიერ ცოტა რამ გვითხრა და რაც სთქვა, ჩვენის აზრით, ყველა შემცდარი აზრი იყო. აქამდის რაფიელ ერისთავს ჩვენ მხოლოდ პოეტად ვიცნობდით და მხოლოდ პოეტად. ბ. ა. წერეთელმა კი პირველ ადგილზე განსვენებულის საზოგადოებრივი მოღვაწეობა დააყენა. რასაკვირველია, მწერალი საუკეთესო საზოგადო მოღვაწე არის, მაგრამ ჩვენმა „cauférencie“-მა სულ სხვა აზრით უწოდა განსვენებულს საზოგადო მოღვაწე. მან ბრძანა, რომ რაფიელ ერისთავი გარდა იმისა, რომ პოეტი და მწერალი იყო, იყო კიდევ საზოგადო მოღვაწეო. ამ შემთხვევაში ცნებას „საზოგადო მოღვაწე“ უფრო შემოფარგლული და განსაკუთრებული აზრი აქვს; ასეთის განსაკუთრებულის აზრით კი რომ გავზომოთ განსვენებულის პოეტის მოღვაწეობა, საზოგადო მოღვაწის სახელს ვერ ვუწოდებთ, რადგან, ვიმეორებთ, ის არ ყოფილა საზოგადო მოღვაწე. პირიქით, განსვენებული იყო ჩვენ პოეტთა შორის ერთი საუკეთესოთაგანი. ბ. ა. წერეთელმა ერთი სიტყვაც კი არა სთქვა მის პოეზიის შესახებ; არა სთქვა არაფერი იმაზე, რისთვისაც უფრო უნდა მიექცია საზოგადოების ყურადღება. შემდეგ. ბ. ა. წერეთელმა ბძანა, ვითომც განსვენებულს სდევნიდნენ ჩვენში. ვინ? როდის? თუ სდევნიდნენ ვისმე როდისმე, ისევ სხვას და არა რაფიელ ერისთავს. ამ მეორე არა მართალმა აზრმა გამოიწვია მესამე და მეოთხე. დევნამ და მდევნელებთან ბრძოლამ უდროოდ მოსწყვიტეს წელი განსვენებულსაო და უდროოდვე აღებინეს ხელი წერაზედაო. განსვენებულმა ოთხმოც წელს მიატნა და სამოციდაათ წლამდე არ გაუგდია ხელიდამ კალამი. ნეტა რა საჭირო იყო ყველა ამგვარ აზრების წარმოთქმა; რა რჯიდა ბ. ა. წერეთელს, რომ სრულებით არ ყოფილი ფაქტები უამბო საზოგადოებას? რა და, დევნაზე რაკი ჩამოაგდო ლაპარაკი, ხელთ იგდო შემთხვევა ბუზები ეწოდებინა ზოგიერთებისათვის, სხვისათვის კი ხარა-ბუზა და ვიღაც კიდევ დაესახა ფუტკრად, რომელიც ღმერთსაც ემსახურება და ადამიანსაც. უფრო კი იმის თქმა უნდოდა, რომ მასაც, დიაღ შესამჩნევ ფუტკარსაც, სდევნიდნენ ვიღაც ბუზები. სწორედ ამ განზრახვას და არა საჭირო საგანზე ლაპარაკს უნდა მივაწეროთ ის, რომ ბ. ა წერეთლის ლექცია სრულიად უმნიშვნელო და უფერული გამოვიდა.

ბ. ა. წერეთელი დიდ პოეტად ითვლება ჩვენს პოეტებში და არც განსვენებული იყო პატარა პოეტი და აი ერთი დიდი პოეტი ახასიათებს მეორეს, სულ ორის თუ სამის კვირის გარდაცვალებულს; მას დიდი და თანამგრძნობი საზოგადოება უსმენს სულ განაბული და მან ვერავითარი გრძნობა, ვერავითარი აღელვება ვერ გამოიწვია ამ საზოგადოებაში, ერთ წამსაც ვერ მოიყვანა ის აღტაცებაში განსვენებული სულ უმნიშვნელო პოეტი რომ ყოფილიყო, მაშინაც კი, რაკი სიტყვის მთქმელი პოეტი იყო, ამ უკანასკნელს შეეძლო აღტაცებაში მოეყვანა ხალხი და აეღელვებინა იგი. და თუ ეს ასე არ იყო, ეს იმის ბრალია, რომ ჩვენი „conférencier“ თავის პირად ანგარიშების გასწორებას მოუნდა.

თავში ჩვენ ჩვენის საზოგადოების ბოლო ხანა ადამიანის ბავშვობას შევადარეთ და შევცდით, ვგონებთ; უფრო ბავშვობაში გადასულ მოხუცსა ჰგავს, თითქო, არა, მკითხველო?

Z.

ფორე თუმაევისა, რომელსაც ტფილისის ნაფიც ვექილის ბ. კარაბეგოვის კერძო საჩივრით ჰბრალდებოდა ურთიერთ შორის დადებულ პირობის ქაღალდის მოსპობა. თუმაევს იცავდა პეტერბურგის ცნობილი ნაფიცი ვექილი კარაბჩევსკი, კერძო ბრალმდებლის ვექილი იყო გრუზენბერგი და სამოქალაქო მომჩივანი მაიკოვი. მოვიყვანთ მოკლედ საქმის გარემოებას: ძმათა თუმაევებს საჩივარი ჰქონიათ თავიანთ და კაჰკაჰევისასთან რაღაც საქმისა გამო ორასი ათას (200,000) მანეთზე. ვექილის ახუმოვის რჩევით, ქრისტეფორე თუმაევს მიუწვევია ბაქოში ნაფიცი ვექილი კარაბეგოვი, მისთვის რომ მიენდო საწარმოებლად აღნიშნული საქმე. თუმაევსა და ყარაბეგოვს ერთმანეთში დაუდვიათ პირობა, რომლის ძალითაც ყარაბეგოვისათვის გასამრჯელო უნდა მიეცათ 12,000 მანეთი; ამ ფულებიდან ყარაბეგოვისათვის მიუცია კიდეც თუმაევს 1500 მან. შემდეგ პირობაზე ხელი მოუწერიათ შინაურულად და რადგანაც ყარაბეგოვს ტფილისში რაღაც საქმე ჰქონია, მალე დაბრუნებულა; წამოსვლისას თუმაევისათვის პირობის წერილი გადაუცია პირის გადასაწერად და თანაც უთქვამს, როცა საჭირო ვიქნე, შემატყობინეთ და ჩამოვალო. გასულა რამდენიმე ხანი და ყარაბეგოვისათვის არასფერი აღარ შეუტყობინებიათ, ხოლო როცა თვით შეჰკითხებია საქმის გარემოებას, ბაქოდან დეპეშით უცნობებიათ, რომ თქვენ საჭირო აღარ იქნებით ამ საქმეში და თავს ნულარ შეიწუხებთო; პირობის წერილი კი მოუსპია ქ. თუმაევს. ამაზედ ყარაბეგოვს საჩივარი აღუძრავს ბაქოს ოლქის სასამართლოში და უთხოვნია, რადგანაც პირობით თუმაევი ვალდებული იყო, თუ საქმის გადმოცემას ჩემთვის არ მოისურვებდა, აღნიშნული ფული მოეცა, ამიტომ ვითხოვ მომესაჯოს 12 ათასი მანეთიო. ბაქოს ოლქის სასამართლოს პატივდებაში მიუღია კარაბეგოვის განცხადება და დაუკმაყოფილებია იგი. საქმე გადმოუტანიათ ტფილისის სამოსამართლო პალატის სამოქალაქო დეპარტამენტში, რომელსაც აღნიშნული პირობის წერილი უცვნია არა ნამდვილ ხელშეკრულებად, არამედ როგორც პროექტი პირობისა და, მიუღია რა სახეში ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში ნება ჰქონდა თუმაევს მოესპო პირობის წერილი, გაუუქმებია ოლქის სასამართლოს განაჩენი. კარაბეგოვს პალატის გარდაწყვეტილობაზედ გადაუტანია საკასაციო საჩივარი უმართებულეს სენატში. პალატაში საქმის გათავებისშემდეგ ყარაბეგოვს ამასთანავე კერძო საჩივარი აღუძრავს დაესაჯათ თუმაევი, როგორც თვით ნებურად მისი პირობისწერილის მომსპობი, რათა აეცილებინა თავიდან 12,000 მანეთის გადახდა. პირველად საქმე განუხილავს ბაქოს ოლქის სასამართლოს, რომელსაც დამნაშავედ უცვნია თუმაევი ხსენებულ საქმეში და გარდაუწვეტია ზოგიერთ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და ვოლოგდის გუბერნიაში გადასახლება. ქ. თუმაევმა ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება განასაჩივრა ტფილისის სამოსამართლო პალატის მეორე სისხლის სამართლის დეპარტამენტში. საქმის გარემოების მოსმენის შემდეგ ილაპარაკა კერძო ბრალმდებლის წარმომადგენელმა ნაფიცმა ვექილმა გრუზენბერგმა, რომელმაც სხვათა შორის სასამართლოს ყურადღება შემდეგ გარემოებას მიაქცია: თუმცა პალატის სამოქალაქო განყოფილებამ აღნიშნულის საბუთის ქაღალდი იცნო არა პირობად, არამედ პირობის პროექტად, მაგრამ ეს საქმე უკვე განსაჩივრებულია სენატში და არ ვიცი, საქმე რითი გათავდება; გარდა ამისა ჩვენთვის შეურყეველს საბუთს არ შეადგენს აზრი სამოსამართლო პალატისა, რადგანაც საქმის გარემოება სულ სხვას გვიჩვენებს; მაგალითად, თუ კი მართლა პროექტი იყო ის პირობის წერილი, რატომ თუმაევი სპობს მას და არ [illegible] წარადგენს სასამართლო[illegible], როგორც თავის გამამართლებელს საბუთს? მაგრამ ეს არ მოხდა მიტომ, რომ იგი იყო ნამდვილი საბუთი, რომელიც მას 12,000 მანეთს დააკარგვინებდა და ამიტომაც განიზრახა მისი მოსპობა; ეს კი ყარაბეგოვის უფლების მოსპობაა. ამას გარდა თუ თუმაევსა და ყარაბეგოვს შორის უკვე დამთავრებული და საბოლოვოდ ხელმოწერილი არ იყო პირობის წერილი, რათ გადაიხდიდა თუმაევი 1 500 მანეთსო. დასასრულ გრუზენბერგმა მოიყვანა სენატის განმარტებანი ასეთის საბუთების მოსპობისათვის სასჯელის აღმნიშვნელ მუხლებისა და ითხოვა თუმაევის დასჯა. სამოქალაქო მომჩივანი მიემხრო გრუზენბერგის აზრს, რადგანაც თხოვნას მისის საჩივრის დაკმაყოფილებისას ექმნება საფუძვლად თუმაევის დასჯა, როგორც ნამდვილის საბუთის მომასპობელისა.

შემდეგ თითქმის საათ-ნახევარი ილაპარაკა ბ-ნმა კარაბჩევსკიმ; პირველად მან მიაქცია ყურადღება საქმის ზნეობითს მხარეს, თუ წვრილმანი გარემოება იმდენად როგორ გაზარდეს მომჩივნებმა და შემდეგ თვით საქმის გარემოება შეუდარა შემდეგს მაგალითს: აი, ბ-ნნო მსაჯულნო! თქვენ მოინდომეთ სახლის დაქირავება, მიდიხართ ქუჩაში და შეამჩნიეთ სახლი, რომელიც მოგეწონათ, გაურიგდით კიდეც, მაგალითად, 200 მანეთად და წინ-და-წინ ზეც მიეცით; შემდეგ ისევ გადაიფიქრეთ და აღარ ინდომეთ დაქირავებულს სახლში გადასვლა; ამის შემდეგ, მართალია, თქვენ ჰკარგავთ ზეს, ისე როგორც თუმაევი 1500 მანეთს ყარაბეგოვისათვის მიცემულს, მაგრამ აქვს განა რაიმე იურიდიული უფლება სახლის პატრონს გამოგედაოთ და მთელი ქირა გადაგახდევინოთ? აქაც ასეა. თუმაევი უარს არა ჰყოფს, რომ მან მოსპო პროექტი პირობის წერილისა და არა ნამდვილი პირობა, რადგანაც მან, ალბად, გადაიფიქრა თავისი წინანდელი განზრახვა. ხუმრობა ხომ არა გგონიათ 12,000 მანეთი. ამდენს ფულს მარტო მინისტრები თუ მიიღებენ და ნაფიცი ვექილი კი ერთ საქმეში ართმევს ბრალდებულს! აქ ჩემი მოწინააღმდეგენი ამბობენ, რომ ვითომ თუმაევმა ყარაბეგოვის უფლება პირობის წერილის მოსპობით განზრახ დაარღვიაო, მაგრამ სად იყო ჯერ ეს უფლება? იგი მხოლოდ შინაურულად დაწერილ პირობის წერილის პრექტზე იყო გამოყვანილი და მისი აზრი და ძალა ყარაბეგოვს იმდენად შეეხებოდა, რამდენადაც თუმაევს. ამიტომ იგი სპობს ისეთის წერილის პროექტს, რომლის განხორციელებაც მას არ ჰსურს, რადგანაც იგი ხელსაყრელი არაა მისთვის. ამასთანავე ბ-ნმა კარაბჩევსკიმ მოიყვანა სენატის 1881 წლის განმარტებანი, რომლის ძალითაც კაცი დაისჯება არა ამისთანა ქაღალდის ნახევის მოსპობისათვის, არამედ მისთანა ქაღალდების მოსპობისათვის, რომელნიც უკვე კანონიერად და ფორმალურად არიან შესრულებულნი და შესანახავად მიბარებულნი. შემდეგ კარაბჩევსკიმ ითხოვა თუმაევის გამართლება, რადგანაც სრულიად არ არის დამტკიცებული, რომ მოსპობილი ქაღალდი ნამდვილი საბუთი იყო უკვე კანონიერად შესრულებული და არა უბრალო ქაღალდის ნახევი, რომელზედაც განზრახულის პირობის პროექტი იყო გამოყვანილიო. პალატამ, ცოტა ხნის თათბირის შემდეგ, გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც უდანაშაულოდ იცნო თუმაევი აღნიშნულს ბრალდებაში და გაამართლა, ხოლო სამოქალაქო მომჩივნის განცხადება განუხილველად დასტოვა.

## წერილი რედაქციის მიმართ.

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთ „ცნობის ფურცლის“ საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ყველა იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და შემწეობა აღმოგვიჩინეს სოფ. სნოში „კავკასიაში მართმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების“ სკოლის სახალხო-უფასო სამკითხველოსათვის ქარ. ჟურ-გაზეთების და საბავშო წიგნაკების გამოსაწერად. სია შემომწირველთა: მღ. გიორგი სირაძემ 3 მ; მამასახლისმა გიორგი ღუდუშაურმა 3 მ; ა. კვაჩაძემ 3 მ; ე. სირბილაძემ 3 მ; ლ. თოფაძემ 2 მ. და 30 კ., ს. გიგაურმა 2 მ.; ა. გორსკიმ 2 მ; ვ. კარაევმა 1 მ; ტ. მარსაგოვმა 1 მ; გ. ბედოშვილმა 1 მ; გ. კეზელმა 1 მ; დ. ცაბალოვმა 1 მ; ბ. კვიცინსკიმ 1 მ; გ. აბაევმა 1 მ; ი. ბედოევმა 1 მ; ვ. თავაევმა 1 მ; ელისაბედ ვარსიევამ 1 მ; ი. წამალაძემ 1 მ; პ. ადამაშვილმა 1 მ; ა. გუდუშაურმა 1 მ; პ. პაპიაშვილმა 1 მ; ი. ვარძუკაშვილმა 1 მ. და ორი მანეთის ქართული წიგნები; გ. ფირანიშვილმა 1 მ. და 50 კ; თრუსოს მღ. ზ. პეტრიაშვილმა 1 მ; გიგოლა ალიბეგოვმა 50 კ; გ. ახულოვმა 50 კ; ს. შადურმა ორ მანეთად ღირებული ხელობა; ი. ჩქარეულმა 50 კ; ი. კობიევმა 50 კ; მ. ავსაჯანოვმა 50 კ; ვარა ღვთისოევისამ 50 კ; გ. მალანიამ 50 კ; ი. ვარბუკაშვილმა ათი შაურის წიგნაკები; პ. გუდუშაურმა 40 კ; განსაკუთრებით მადლობას ვუძღვნი ციფო გელაშვილს, რომელმაც უფასოდ დაგვითმო სამკითხველოსათვის გრძელი სტოლი და გიორგი ფირანიშვილს, მის ამხანაგს ვ. ვარძუკაშვილს, რომლებიც არ იშურებენ თავიანთ ხელობას და უფასოდ ყოველივე საჭირო ნივთებს სამკითხველოსათვის გვიკეთებენ.

მასთან ვუგზავნი ჩემდამორწმუნებულ სკოლის შეგირდებისაგან შეგროვილს ფულს სამს (3) მანეთს საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილის“ რედაქციას და უმორჩილესად ვთხოვთ დაგვითმოს ამ ფასად მთელის წლით „ჯეჯილი.“

სამკითხველოს გამგე ერმალოზ სირბილაძე.

# საღამოს დეპეშები

21 მარტი

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. დღეს, სხდომების 5 აპრილამდე გადადების საკითხის შესახებ ბროდრიკმა უპასუხა სხვადა-სხვა პირთ, რომელთაც ილაპარაკეს იმ სამშვიდობო პირობათა წინააღმდეგ, რომელნიც წარედგინა სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკებს. „მთავრობასაო—სთქვა ბროდრიკმა,—ჰსურს მისცეს საშუალება ბურების სარდლებს სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის, თუ უკანასკნელნი ამას მოისურვებენ, მაგრამ იმავე დროს მას ჰსურს გამოარკვიოს, რომ მთავრობა ყოველ შესაძლო ღონეს იხმარს ომის დასამთავრებლად“. დასასრულ ბროდრიკმა იმედი განაცხადა, რომ ომი ჩქარა და სასურველად უნდა დასრულდესო.

**პეკინი.** სერ რობერტ-გარტის შედგენილ სავაჭრო სტატისტიკის მიხედვით, ამერიკის ვაჭრობამ უკანასკნელ ხუთ წელს შესამჩნევად იმატა და ინგლისისა კი შედარებით დაეცა. ამერიკის ნავთის შეტანა შემცირდა, რადგანაც ნავთით ვაჭრობა თითქმის მთლად რუსეთის ხელში გადავიდა. ვაჭრებს ეშინიანთ რუსეთის ცილაობისა, განსაკუთრებით ბამბის ნაწარმოებსა და ზეთერბოს ვაჭრობაში.

**კაპშტადტი.** ტრანსვაალის სამთო-საქარხნო პალატის ცნობით, კიტჩენერმა კიდევ სამ საზოგადოებას მისცა ნებართვა ამუშავონ 50 მადნის მტვრეველი წისქვილი თითომ, იმ პირობით კი, რომ სამთო მუშებმა ხუთ-ხუთი შილლინგი მიიღოს დღეში და საზრდო, დანარჩენი ნაწილი დღიურ სამუშაოსი უნდა მოხმარდეს ომის დროს რანდის მცხოვრებთაგან მოკლულთა ქვრივებს და ობლებს. ამ დადგენილებით მადნის მუშების მდგომარეობა უთანასწორდება მუდმივ ჯარების მდგომარეობას, ამასთანავე სცდილობენ უკამყოფილება არ გავრცელდეს უკანასკნელთა შორის. მადნების ყველა მუშებს წინადადება მისცეს რანდის მსროლელთა რაზმში ჩაეწერნენ. ჯერ სამ საზოგადოებას მიეცა ნება-რთვა და ჩქარა მათი რიცხვი შვიდამდინ ავა.

**ბელგრადი.** ივანოვიჩის კაბინეტმა სამსახურს თავი დაანება. დიდმა მთავარმა მიიღო მისი სამსახურიდან გადადგომის ქაღალდი და ახალი კაბინეტის შედგენა მიანდო გარეშე საქმეთა მინისტრს ვუიჩს.

**ვერონა.** მინისტრ-პრეზიდენტი ცანარდელლი აქ მოვიდა და უცდიდა ბიულოვის გავლას. ბიულოვი ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა. ცანარდელლი საიმპერიო კანცლერის ვაგონში შევიდა, სადაც მათ ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ. შემდეგ მეგობრულად გამოეთხოვნენ ერთმანეთს და ცანარდელლი წავიდა მადერნოში, ხოლო ბიულოვი ვენეციაში.

**ლისსაბონი.** აქ მოვიდა გემი „ცერი“ 314 გაქცეული ბურით.

**დურბანი.** ბურებმა შეიპყრეს მატარებელი ნიუ-კესტლის ახლო და წავიდნენ მთებისკენ, როდესაც კემპბელის ჯარები გამოჩნდნენ.

### პეტერბურგის ბირჟა 20 მარტს.

ვექსელის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში | 93,70 |
| ბერლინზე 100 მარკაში | 45,85 |
| პარიზზე 100 ფრანკში | 37,30 |
| ლონდონზე ჩეკები | 94,65 |
| ბერლინზე „ | 46,30 |
| პარიზზე „ | 37,60 |
| ბირჟის დისკონტი | 5¾,—7¼% |

| | მყიდვ. | გამყ. | გაყიდ. |
|---|---|---|---|
| | მ ა ნ | ე თ | ი. |
| 4% სახელმწიფო რენტა | — | — | 96⅛ |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | 100 | — | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა | — | 96 | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | — | — | 344 |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | — | — | 285 |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | — | — | 220 |
| 3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა | — | — | 89 |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკი 5% გირავნ. ფურცლ | — | 93½ | — |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | 86½ | — | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ | — | — | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 93 | — | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | — | — | 92⅜ |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | 84¼ | — | — |

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი.


## განცხადებანი

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით 23 მარტს 1901 წ., შუადღის 1 საათზე, დანიშნულია საჯარო

## ვაჭრობა,

რომლითაც გაიცემა იჯარით წყლის სადენი მილი ბეტონისა გოგოლის ქუჩაზედ, ტრუხჩაოვის სახლიდან არსებულ მილამდე ვოკზალის ქუჩაზედ—სიგრძით 82,00 საჟ. ღირებული 1200 მან.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მესამე განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (ნ. 3—2)

თხზულება

## თ. რ. ერისთავისა

I ტომი

ფასი სამი აბაზი.

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში, ლორის მელიქოვის ქუჩ., ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Марта 1901 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბისა, ვანქის დიდი ქუჩა, № 27.